



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში
IV კვარტალი

თბილისი

2018

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბები	-1
მედია და კომუნიკაცია	- 6
მედიაწარმოება	-21
ტექნიკური უზრუნველყოფა	-33
იურიდიული სამსახურის ანგარიში	-38
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	-45
„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივი	-46
ფინანსები და ადმინისტრაცია	-50

ახალი და მიმდინარე ამბები

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები, რაც მაქსიმალურად აისახა *პირველი არხის* საინფორმაციო სამსახურის მუშაობაზე. *პირველმა არხმა* საარჩევნო სუბიექტებს შესთავაზა პროექტი *საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ არხზე - ხედვა და დებატები*. საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს საშუალება ჰქონდა, საპრეზიდენტო კანდიდატებს სამ სხვადასხვა ფორმატში გაცნობოდა. დებატების განრიგი და რიგითობა შეთანხმდა საარჩევნო სუბიექტებთან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ შეხვედრაზე. ამავ დროს, პირველმა არხმა აუდიტორიას შესთავაზა კიდევ ერთი საარჩევნო პროექტი *არჩევნები 2018*.

არჩევნების შემდეგ *პირველმა არხმა* მაყურებელს შესთავაზა ახალი ანალიტიკური პროგრამა *თავისუფალი ხედვა*. ცვლილებები შეეხო *საქართველოს რადიოს* პროგრამას *ღია სტუდია*, ასევე მომზადდა ახალი რადიოპროექტი *მსოფლიო ამბები*.

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავ დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

პირველი არხი

- *მომბე - დღის თემა* - 19
- *აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად* - 6
- *კვირის ინტერვიუ* - 6
- *ახალი კვირა* - 11
- *42° პარალელი* - 11
- *თავისუფალი ხედვა* - 3

რადიო პირველი არხი

- *ღია სტუდია* - 63
- *სალამოს პიკის საათი* - 61
- *ესტაფეტა* - 54
- *ჩვენი საქართველო* - 7

2. სიახლეები

2.1. არჩევნები

საარჩევნო პერიოდში *პირველი არხის* საინფორმაციო სამსახური განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. საინფორმაციო გამოშვებებში ყოვლისმომცველად და დაბალანსებულად გაშუქდა წინასაარჩევნო კამპანია. არჩევნების ორივე ტურზე კი *მომბე* უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა.

საარჩევნო პერიოდში *პირველმა არხმა* არჩევნებში მონაწილე 25 კანდიდატს და აუდიტორიას შესთავაზა ორი პროექტი *საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ არხზე - ხედვა და დებატები* და *არჩევნები 2018*. ორივე პროექტი გადაიცემოდა *პირველი არხის* და *საქართველოს რადიოს* ეთერით, ასევე *ITV.ge* პლატფორმით.

პროექტის *საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ არხზე - ხედვა და დებატები* ფარგლებში ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თანაბრად დაეთმო ეთერი, აუდიტორიას კი საშუალება ჰქონდა, საპრეზიდენტო კანდიდატებს სამ სხვადასხვა ფორმატში გაცნობოდა:

- თითოეულ კანდიდატს საკუთარი ხედვის პრეზენტაციისთვის 10 წუთი დაეთმო;
- გაიმართა დებატები კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ კანდიდატებს შორის;
- კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცათ გამოეწვიათ ერთმანეთი დებატებში;

პირველმა არხმა არჩევნებში მონაწილე 25-ვე კანდიდატს 10-წუთიანი დრო შესთავაზა. კანდიდატები 25 ოქტომბრამდე „მომხმის“ მთავარ გამოშვებაში 21:30 საათზე 10 წუთის განმვალობაში ამომრჩეველს საკუთარ ხედვას აცნობდნენ.

ასევე შედგა დებატი ცხრა არაკვალიფიციურ სუბიექტსა და 16 კვალიფიციურ სუბიექტს შორის. დებატების განრიგი და რიგითობა შეთანხმდა საარჩევნო სუბიექტებთან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ შეხვედრაზე. არაკვალიფიციურ კანდიდატებს შორის დებატები 12 ოქტომბერს გაიმართა. კვალიფიციური სუბიექტები კი ორ ჯგუფად დაიყო. მათ შორის დებატები 19 და 26 ოქტომბერს გაიმართა.

გარდა ამისა, კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცათ, ერთმანეთი დებატებში გამოეწვიათ. ამ ფორმატით 6 დებატი გაიმართა. აღსანიშნავია, რომ **ITV.GE**-ზე შექმნილი სპეციალური გვერდის მეშვეობით ამომრჩეველს დებატებში მონაწილე კანდიდატებისთვის კითხვის დასმის შესაძლებლობა ჰქონდა. აქვე აუდიტორიას შეეძლო გაცნობოდა პრეზიდენტობის კანდიდატების ხედვასა და ბიოგრაფიას.

საერთო ჯამში განხორციელებული დებატები და მათში მონაწილეთა სია ასე გამოიყურება:

- დავით უსუფაშვილი, კახა კუკავა და ლევან ჩხეიძე
- სალომე ზურაბიშვილი, გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე
- ვახტანგ გაბუნია, აკაკი ასათიანი და გელა ხუციშვილი
- მიხეილ სალუაშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი და ბესარიონ თედიაშვილი
- კახა კუკავა, აკაკი ასათიანი, ლევან ჩხეიძე და ვახტანგ გაბუნია
- გიორგი ლილუაშვილი, მიხეილ სალუაშვილი, ბესარიონ თედიაშვილი, კახაბერ ჭიჭინაძე და თეიმურაზ შაშიაშვილი
- კახა კუკავა, კახაბერ ჭიჭინაძე და ბესარიონ თედიაშვილი
- კახა კუკავა და ზურაბ ჯაფარიძე
- კახაბერ ჭიჭინაძე, გიორგი ლილუაშვილი და მიხეილ სალუაშვილი

პირველმა არხმა განახორციელა კიდევ ერთი პროექტი **არჩევნები 2018**. პროექტმა მაცურებელს და მსმენელს შესთავაზა

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი მეორე ტურების მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზი. გადაცემა გადიოდა ყოველ სამუშაო 22:00 საათზე. საზოგადოების წარმომადგენლები,



და
დღეს

ექსპერტები, პოლიტიკოსები გადაცემის წამყვანებთან ერთად საუბრობდნენ დღის და კვირის მნიშვნელოვან საარჩევნო თემებზე.

2.2. სიახლეები

არჩევნების შემდეგ *პირველმა არხმა* მაყურებელს მიმდინარე პროცესების და კვირის მთავარი მოვლენების განხილვა კიდევ ერთ ფორმატში შესთავაზა. ახალი ანალიტიკური პროგრამა *თავისუფალი ხედავ* ეთერში ყოველ სამშაბათს 22:00 საათზე გადის.

გადაცემის წამყვანი გიორგი გვიმრაძე თანაწამყვანებთან, ჟურნალისტებთან და სტუმრებთან ერთად განსხვავებულ პოზიციებს, მსჯელობას და საინტერესო რუბრიკებს გვთავაზობს.



ცვლილებები შევიდა *საქართველოს რადიო* ყოველდღიურ პროგრამაში *ღია სტუდია*. გადაცემას ერთის ნაცვლად უკვე 5 წამყვანი ჰყავს. მათ შორის არიან *პირველი არხის* ტელესახეები

მაცა ცინცაძე, ირაკლი აბსანძე და თამარ ფიროსმანაშვილი. ასევე მომზადდა ახალი რადიო პროგრამა *მსოფლიო ამბები*, რომელიც მსმენელს უცხოეთის ამბების მიმოხილვას და ანალიზს მომავალი წლის იანვრიდან შესთავაზებს.



3. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მოამბე 21:00 საათზე, მოამბე - დღის თემა, აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად, კვირის ინტერვიუ, ახალი კვირა, 42° პარალელი* და *განსხვავებული ხედვა* გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება *საქართველოს რადიოს* ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა *ღია სტუდია, საღამოს პიკის საათი* და *ჩვენი საქართველო*.

მედია და კომუნიკაცია

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს მედიისა და კომუნიკაციის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს, 2018 წლის IV კვარტლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და ამ თვალსაზრისით ბადეში იყო გარკვეული ცვლილებები, რაც მიმართული იყო ქვეყნის მთავარი პოლიტიკური მოვლენის გარშემო საზოგადოებრივი ინტერესის მაქსიმალური დაკმაყოფილებისკენ. გარდა ამისა, IV კვარტალი მოიცავს საახალწლო ეთერსაც, რაც გულისხმობს ახალი წლის დღეებში სპეციფიკური საეთერო ბადის დაგეგმვას.

საანგარიშო პერიოდში, მედიისა და კომუნიკაციის ბლოკმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა სამსახურებთან ერთად, იმუშავა დოკუმენტზე „2019 წლის საპროგრამო პოლიტიკის ზოგადი კონცეფცია“, რომელიც განიხილა და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ. დოკუმენტი ემსახურება საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი მიზნისა და მისიის შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვას, სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის შედეგების მიხედვით. 2019 წლისთვის დაგეგმილი პროგრამირებით პირველმა არხმა უნდა უპასუხოს როგორც პროგრამული პრიორიტეტებით მისთვის განსაზღვრულ ძირითად მიზნებს, ასევე, მაყურებელთა ძირითადი სექტორის მოთხოვნებს და ინტერესებს, რომლებიც კვლევების შედეგად გამოიკვეთა. პრიორიტეტებში მოიაზრება ონლაინ პლატფორმის გაძლიერება და მაქსიმალური პერსონიფიცირება, მომხმარებლის ჩვევის ცვლილების კვალდაკვალ.

წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას 2018 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში, ბლოკის მიერ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოს შესახებ:

○ ცვლილებები ბადეში

2018 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში, პირველი არხის ეთერი დატვირთული იყო მრავალფეროვანი შემეცნებითი, გასართობი, თუ სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გადაცემებით.

2018 წლის მეოთხე კვარტალში, პირველი არხის ეთერს დაემატა ყოველდღიური გადაცემა „საპრეზიდენტო არჩევნები 2018“, რომელსაც უძღვებოდნენ პირველი არხის ანალიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები. გადაცემა ემსახურებოდა საზოგადოების მეტად ინფორმირებას საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ.

იმავე სახელწოდების ქვეშ, ამ პერიოდში მომზადდა ორი განსხვავებული ფორმატის გადაცემა, სადაც მოწვეული სტუმრები, ძირითადად, ახალგაზრდები იყვნენ. ისინი თავის მოსაზრებებს აფიქსირებდნენ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით და ქვეყნის განვითარებას საკუთარ ხედვას გვიზიარებდნენ.

არჩევნების დასრულების შემდეგ, ეთერში დარჩა პირველი არხის ანალიტიკური ჯგუფის მიერ მომზადებული გადაცემა „თავისუფალი ხედვა“, რომელიც სამშაბათს 22:00 საათზე არის განთავსებული.


წინასაარჩევნო პერიოდში, პირველმა არხმა მაცურებელს შესთავაზა პრეზიდენტობის კანდიდატთა შეხვედრა დებატების ფორმატში, როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის - აბსოლუტურად თანაბარ პირობებში. სულ ეთერში გავიდა 10 გადაცემა. ამასთან, სამი დაეთმო დებატებს კენჭისყრის გზით შერჩეულ კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტებს შორის (ისინი ცალ-ცალკე დაჯგუფდნენ), ხოლო შვიდი გადაცემა - გამოწვევით დებატებს. ამ შემთხვევაში, კანდიდატები თავად იწვევდნენ სასურველ ოპონენტს და მისი თანხმობის შემთხვევაში ეთერი ეთმობოდა ამ კანდიდატების დაპირისპირებას დებატებში.

გარდა ამისა, სექტემბრიდან (ოქტომბრის ბოლომდე), მოამბის ცენტრალურ გამოშვებაში, ყველა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტს დაეთმო საეთერო დროის 10 წუთი, სადაც მათ ეძლეოდათ საშუალება, ამომრჩევლისათვის თავიანთი ხედვები და პოზიციები უკეთ გაეცნოთ.

მეოთხე კვარტლის განმავლობაში პირველი არხის ეთერში გადიოდა შემდეგი გადაცემები:

1. ახალი დღე;
2. ნაშუადღევს;
3. მარტივი ლოგიკა;
4. ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?!
5. წიგნების თარო;
6. პირადი ექიმი;
7. აკუსტიკა;
8. კაცები;
9. ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ;
10. ფერმა;
11. ილუზიონი;
12. ეროვნული ლიგის მიმოხილვა;
13. იონას საქართველო;
14. რეალური სივრცე;
15. ახალი კვირა;
16. 42-ე პარალელი;
17. კვირის ინტერვიუ ირაკლი აბსანძესთან ერთად;
18. აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად;
19. დღის თემა-თამთა სანიკიძესთან ერთად;
20. თავისუფალი ხედვა;
21. ეროვნული ლიგის მიმოხილვა .

კონტენტის პროცენტული გადანაწილება მიმართულებების მიხედვით



○ მარკეტინგის სამსახური

მეოთხე კვარტლის განმავლობაში მარკეტინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული 2019 წლისთვის ახალი საეთერო სეზონის დაგეგმვაში.


აქტიურად განხორციელდა ახალი ეთერის პრომოუშენი სხვადასხვა პლატფორმაზე.

ასევე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება, მათთან საპასუხო კომუნიკაციის, შეხვედრისა და გაშუქების გზით.

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ, თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეასა და საერთაშორისო ურთიერთობების შეხვედრაზე.


○ მივლინებები

3 თვის განმავლობაში მომზადდა 292 სამივლინებო განაცხადი, აქედან შეძენილ იქნა 38 ავიაბილეთი, მატარებლის 8 ბილეთი და სასტუმროს მომსახურება 555 თანამშრომლისთვის.



○ კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საპრეზიდენტო არჩევნები. საარჩევნო კამპანიის პერიოდში აქტუალური გახდა მოსახლეობის ამ მიმართულებით ინფორმირება, რისთვისაც პირველი არხის სატელევიზიო ეთერში გაიზარდა საინფორმაციო გამოშვების და პოლიტიკური თოქ-შოუების ქრონომეტრაჟი. შესაბამისად, ამ პერიოდში, 82%-ით მოიმატა აუდიტორიის მხრიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ყურების ხანგრძლივობამ.



ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება “people meters”-ების საშუალებით (პროგრამა „infosyc”).

„რადიო პირველი არხის“ ბადეში განთავსდა კონკურსში გამარჯვებული ახალი პროექტები საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით. პროგრამული მიმართულებები, ბადეში მათი გადანაწილების პროპორცია, დროის სლოტების სიდიდე - ყოველივე ეს, ბადეში გადანაწილდა რადიომსმენელების მოთხოვნების და ქცევის გათვალისწინებით, იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც გვიჩვენა მაუწყებლის მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ.

მომზადდა პროექტი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოებრივი არხის შესასწავლად - **Computer-assisted telephone interviewing (CATI)** - სატელეფონო გამოკითხვა ცენტრალიზებული კომპიუტერული სისტემის გამოყენებით.

○ **სარეკლამო სამსახური**

სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ მეოთხე კვარტლის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები. სასპონსორო, სარეკლამო შეთავაზებები შემდეგ ტრანსლაციებში: „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები“, „ფეხბურთში უეფას ნაციონალური ლიგის მატჩები“, საბავშვო ევროვიზია.

მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების და მომსახურეობის წესები.

პოლიტიკური რეკლამის განთავსების და მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია ყოველკვირეულად გაეგზავნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ სააგენტოს.

მომსახურეობა გაეწიათ სოციალურ, პოლიტიკურ და კომერციულ რეკლამებს, ასევე გასართობ გადაცემებში ინტეგრაციებს.

მეოთხე კვარტალში სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის საბარტერო მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა **14 720 ლარი და 10 720 აშშ დოლარი** დღგ-ს ჩათვლით. რადიო რეკლამის ღირებულებამ **6 593 ლარი და 33 თეთრი**. სატელევიზიო რეკლამის ღირებულებამ- **58 074 ლარი და 93 თეთრი და 32 500 აშშ დოლარი** დღგ-ს ჩათვლით.

მომზადდა 2019 წლის ახალი, გასართობი გადაცემებისა და სპორტული ტრანსლაციების სარეკლამო და სასპონსორო შეთავაზებები.

ოქტომბერი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
შპს „ინტელიჯენტ მედია“		4 500,00
შპს „ჰანიმენ“		500,00
შპს „კრეატივ მედია“	2 240,00	
ჯამი:	2 240,00	5 000,00

რადიო		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
საქ. ეკონომიკის და მდგ. განვით. სამინისტრო		3 025,00
ჯამი:		3 025,00

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
შპს „მარსი“ შპს „ტვ11“	12 500,00	
ააიპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვ. სააგენტო		1 006,75
საქ. ეკონომიკის და მდგ. განვით. სამინისტრო		2 173,86
საქართველოს საარჩევნო კომისია		8 868,17
ჯამი:	12 500,00	10 871,33

ნოემბერი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
შპს „ინტელიჯენტ მედია“		4 000,00
შპს „მოგზაური +“		520,00
ააიპ კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	3 360,00	
შპს „კრეატივ მედია“	2 000,00	
ჯამი:	5 360,00	4 520,00

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
შპს „მარსი“ შპს „ტვი11“	10 000,00	
შპს „ყაზტრანსგაზი“		2 000,00
შპს „მითანა“		2 000,00
შპს „ონფონთ“		9 000,00
სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტო		1 364,00
საქართველოს საარჩევნო კომისია		1 604,27
ჯამი:	10 000,00	15 969,00

დეკემბერი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
შპს „ინტელიჯენტ მედია“		4 000,00
ინდ.მეწ. „მარიამ ნაკანი-მამასახლისი“		1200,00
ააიპ კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	2 000,00	

შპს „კრეატივ მედია“	1 120,00	
ჯამი:	3 120,00	5200,00

რადიო		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
საქ. ეკონომიკის და მდგ. განვით. სამინისტრო		3 568,33
ჯამი:		3 568,33

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა დოლარში	აშშ თანხა ლარში
შპს „მარსი“ შპს „ტვი11“	10 000,00	
სს „თიბისი ბანკი“		9 000,00
სს „გეფა“		700,00
შპს „ნოვაპროდაქშენს“ შპს „მეგატექნიკა“		1 875,00
სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტო		4 6499,93
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		1 517,10
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური		2 354,91
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო		894,00
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო		1 423,34
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		1 718,11
საქ. ეკონომიკის და მდგ. განვით. სამინისტრო		5 186,06
საქ.ოკუპ.ტერიტ.დევნ, შრომის, ჯანმ. და სოც. დაცვ. სამინისტრო		1 916,15
ჯამი:	10 000,00	31 234,60

○ ვიზუალური გაფორმების ჯგუფი

საანგარიშო პერიოდის მანძილზე ვიზუალური გაფორმების სამსახურმა იმუშავა მიმდინარე თუ ახალ პროექტებზე. დამზადდა პრომოები და ანონსები ყველა გადაცემისთვის, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისა და სერიალებისთვის, ახალი პროექტებისა და ღონისძიებებისთვის, მათ შორის, „საბავშვო ევროვიზია 2018 -სა“ და სპორტული ტრანსლაციებისთვის. შეიქმნა და განხორციელდა ვიზუალური გაფორმების ახალი კონცეფციები. საახალწლო სატელევიზიო ეთერისთვის არხის შეფუთვა შეიცვალა. დაიწერა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრომოსა თუ ანონსის ტექსტი, შემუშავდა ონლაინ პლატფორმისთვის გადაცემების ბანერების დიზაინი და შესრულდა სხვადასხვა სახის გრაფიკული სამუშაო, მიმდინარე გადაცემებისა თუ დროებითი პროექტებისთვის.

საერთო ჯამში დამზადდა :

პროდუქტი	რაოდენობა
პრომო	30
ტიხარი	22
ანონსი	167
საეთერო ტიხარი	6
ფონი	17
საეთერო ტიხარი	7
ლოგო	5
ბანერი	26
ქუდი	3
გრაფიკული ანიმაცია	6
თიზერი	3
კლიპი	2

ჯგუფის მიერ მომზადებული ანონსები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

o მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური

მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახურმა, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, კომპანია **“Paramount Pictures International Limited”**-სგან შეისყიდა სერიალი „ბერლინის განყოფილება“ და 198 მხატვრული ფილმი.

ხელი მოეწერა ხელშეკრულებას იტალიურ კომპანია **RAI**-სთან სერიალ „ქალების სამოთხის“ მესამე სეზონის შესყიდვის შესახებ.

დაიწყო კომპანია **“PGS”**-სგან, უკვე არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ანიმაციური სერიალის „ალვინი“ ახალი სეზონის მიღება.

შესყიდული იქნა ესპანური სერიალი „ექვსი და“ (მეორე სეზონი).

კომპანია **“Endemol Shine IPB.V.”**-სგან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეისყიდა ორი ფორმატი- **“Crash Struck”** (მეორე სეზონი) და **“MasterChef”**.

შესყიდულ იქნა ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს „ოსკარის“ და „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოების ცერემონიალების ჩვენების უფლება.

შესყიდული პროდუქციის ნაწილი უკვე მოწოდებულია და მიმდინარეობს გახმოვანების პროცესი. ფილმების ნაწილი საახალწლო ეთერში გავიდა.

დაიდო სამმხრივი საბარტერო ხელშეკრულება „ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტსა“ და პოლონეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან, რომლის მიხედვითაც ჩვენ გადმოგვეცა პოლონური სერიალი, საზოგადოებრივ რადიოში კი დაიდგა პოლონური პიესა.

მაუწყებელმა შეიძინა ე. წ. ევროპული ოლიმპიადის „მინსკი 2019“ ჩვენების უფლება.

მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახურმა კურირება გაუწია **UEFA**-ს ეროვნული ლიგის საშინაო თამაშებში პირველი არხის ჩართულობას.

სამსახურმა ზედამხედველობა გაუწია **Saran Media** -ს, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად ახორციელებს ფეხბურთისა და კალათბურთის მატჩების პროდაქშენს.

პერიოდულად ხდებოდა EBU-სა და სხვადასხვა კომპანიებთან საგადასახადო ვალდებულებების შესრულება.

გახმოვანების ჯგუფმა, 2018 წლის მეოთხე კვარტალში, გაახმოვანა

მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული სერიალები და ანიმაცია.

უკვე საბოლოო სახით (მასტერინგის ჩათვლით) სულ **361** საათი.

ოქტომბერში გახმოვანდა **98** სთ, ნოემბერში **111** სთ, დეკემბერში - **152** საათი.

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და ანიმაციის გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც.

o **ონლაინ მედია**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე -1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მიმართ, საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, პირველმა არხმა საარჩევნო სუბიექტებს შესთავაზა ამომრჩეველთან კომუნიკაციის დამატებითი საშუალება. პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა პირველი არხის ვებ-გვერდზე 1tv.ge, სახელწოდებით [„რა უნდა ვიცოდეთ პრეზიდენტობის კანდიდატზე?!“](#) გაცნობიერებული არჩევანის გასაკეთებლად ამომრჩეველს მივაწოდეთ კანდიდატის საარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებების შესახებ მოკლე ინფორმაცია. კანდიდატების ონლაინ პრეზენტაციების გამოქვეყნების შემდეგ ამომრჩეველს სასურველი კითხვის დასმის შესაძლებლობა ჰქონდა.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

24.90% - ვიზიტი საიტზე;

34.47% - უნიკალური მომხმარებელი.

1tv.ge საიტის სტატისტიკა


IV კვარტალი 2018	III კვარტალი 2018
ვიზიტი საიტზე - 7,282,178	ვიზიტი საიტზე - 5,830,322
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 63,605	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 47,301
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 79,154	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 63,373
მაქსიმალური მაჩვენებელი - 152,600 (19 ნოემბერი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 204,000 (15 ივლისი, 2018)

იუთუბ არხების სტატისტიკა

IV კვარტალი 2018	III კვარტალი 2018
ნახვა - 15,131,141	ნახვა - 15,311,813
საშუალოდ დღეში ნახვა - 164,500	საშუალოდ დღეში ნახვა - 166,400
მაქსიმალური მაჩვენებელი - 298,473 (28 ოქტომბერი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 256,862 (16 ივლისი, 2018)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე 2018 წელს



ტოპ 20 პოსტი საიტზე

IV კვარტალი

1.	ახალი ამბები - 1TV	850,419 (11.68%)
2.	Live - 1TV	200,585 (2.75%)
3.	ხალხის რჩეული - კიდევ ერთი მოსწავლე კემბრიჯში - წიგნების თარო	54,334 (0.75%)
4.	გიორგი საყვარელიძე - ხალხის რჩეული - კიდევ ერთი მოსწავლე კემბრიჯში - წიგნების თარო	47,327 (0.65%)
5.	Новости - 1TV	47,207 (0.65%)
6.	პირველი არხი - 1TV	40,304 (0.55%)
7.	You searched for - 1TV	38,091 (0.52%)
8.	სპორტი - 1TV	35,588 (0.49%)
9.	საქართველოს 600 ათასზე მეტ მოქალაქეს ბანკების, ონლაინ ორგანიზაციებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ დავალიანება გაუწულდება [ვიდეო] - 1TV	34,860 (0.48%)
10.	ხმა მიეცით ტოჩინომონს - იაპონიის წამყვანი ტელეარხი გამოვიტყვას ატარებს - 1TV	32,714 (0.45%)
11.	ლამა თოთლაძე - ხალხის რჩეული - კიდევ ერთი მოსწავლე კემბრიჯში - წიგნების თარო	31,452 (0.43%)
12.	მომბე - 1TV	29,805 (0.41%)
13.	გადაცემები - 1TV	28,495 (0.39%)
14.	„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტმა, ლანა ღვინჯილიამ სალომე ზურაბიშვილის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა [ვიდეო] - 1TV	27,759 (0.38%)
15.	თაკო ჩარკვიანი - ქუთაისის აეროპორტში რამდენიმე ადამიანმა არჩევნებში წაგება მომილოცა, შემდეგ კი მე და ჩემს მუულებს თავს დაგვესხნენ [ვიდეო] - 1TV	24,282 (0.33%)
16.	ვებგვერდს, რომელზეც სესხების განულებაზე მოქალაქეთა მონაცემები აიტვირთება, vali.ge ერქმევა - 1TV	23,798 (0.33%)
17.	მსოფლიო - 1TV	23,150 (0.32%)
18.	ნიკა გვარამია - თუ სალომე ზურაბიშვილი გახდება პრეზიდენტი, საქართველოში არ გავჩერდები - 1TV	22,695 (0.31%)
19.	საფრანკეთმა საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად მუშაობის შესახებ კანონი დაამტკიცა - 1TV	22,425 (0.31%)
20.	ბერა ივანიშვილი - მივმართავ მათ, ვისი გონებაც ბოღმითა და შურით არ არის შებინდული და ვისაც უბრალოდ მაგანთა პოლიტიკურმა ანგაჟირებამ სიმართლე არ დაანახა - 1TV	21,454 (0.29%)
21.	საჭადრაკო ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაზე თორნიკე რიჟვაძემ რუსეთის დელეგაციას საქართველოს რუკა აჩუქა [ვიდეო] - 1TV	21,400 (0.29%)
22.	საჭადრაკო ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაზე თორნიკე რიჟვაძემ რუსეთის დელეგაციას საქართველოს რუკა აჩუქა - 1TV	20,315 (0.28%)

ფეისბუქგვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 12.5 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები გაზრდილია 49%-ით.

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 476.4 ათასი - წინა სამ თვესთან შედარებით გაზრდილია 57.1%-ით

Oct 1, 2018 – Dec 31, 2018

9.4M

3-Second Video Views
▲ 28% from previous 92 days

476.4K

Engagement
▲ 57.1% from previous 92 days

12.5M


Minutes Viewed
▲ 49.3% from previous 92 days

12.3K

Net Followers
▲ 23.4% from previous 92 days

Minutes Viewed

Oct 1, 2018 - Dec 31, 2018
12,450,166 Minutes Viewed



Show by:

See how your different types of posts are performing

Organic 99%
Paid 0.73%

გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 237 632 ათასია

Total Page Likes as of Today: 237,632



BENCHMARK

Compare your average performance over time.

Total Page Likes

სამომავლო გეგმები

დაწყებულია:

სამაუწყებლო ბადე/ ახალი პროექტები

შემუშავების ეტაპზეა შემდეგი დოკუმენტები:

1. გაყიდვების სტრატეგია
2. ბრენდ-ბუქი
3. ტექნიკური გავრცელების გაიდი


მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია.

მედია წარმოება / რადიო / ტელე ფილმები


ტელე პროექტები - მედია წარმოება

2018 წლის IV კვარტალში ტელე პროექტების (მედია წარმოების მიმართულება) სტატისტიკური მონაცემები:

ტელე პროექტები მაუწყებლობის ფაზაში:



ტელე პროექტები წარმოების ფაზაში:



მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - ტელეპროექტების მიმართულებით

საქართველოს ვარსკვლავი - ამერიკული American Idol, ბრიტანული Pop Idol - ქართული ანალოგი, ყველაზე პოპულარული მუსიკალური ტელე კონკურსი მსოფლიოში, რომლის ქართული ანალოგიც შეიქმნა 2008 წელს „ჯეოსტარის“ სახელით. 2012 წელს კი ეთერში გავიდა „საქართველოს ვარსკვლავის“ სახელით და გახდა ქვეყანაში ყველაზე პოპულარული მუსიკალური ტელე შოუ, რომელმაც მოიგვა მთელი საქართველო და აღმოაჩინა თაობის უამრავი ნიჭიერი მომღერალი, მეგა შოუს მესამე სეზონს ტელემყურებელი პირველი არხის ეთერში იხილავს.

„საქართველოს ვარსკვლავის“ მესამე სეზონის წინა შესარჩევი კასტინგი მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა, რომელში მონაწილეობის საშუალებაც 16 წელს ზემოთ ასაკის ნებისმიერ მსურველს ჰქონდა. განსხვავებული მუსიკალური და საპროდუსერო გამოცდილების მქონე პროფესიული ჟიური არჩევს კონკურსანტების ძირითად შემადგენლობას, რომელთაგან ერთ-ერთი ტელემყურებლის გადაწყვეტილებით გახდება საქართველოს ვარსკვლავი, ანუ საქართველოს წარმომადგენელი 2019 წლის ევროვიზიაზე. სწორედ ამიტომ ორი საერთაშორისო მეგაპროექტი - „საქართველოს ვარსკვლავი“ და ევროვიზია შეიძლება განვიხილოთ, ერთ მთლიანობად. „საქართველოს ვარსკვლავი“ თავისი სტრუქტურით, ფორმულით და მიზნით არის ყველაზე სახალხო- სხვა პროექტებისგან განსხვავებით, ჟიური აქ არ იღებს მთავარ გადაწყვეტილებას. ჟიურის აქვს უფლება ახსნას და შეაფასოს კონკურსანტის შესაძლებლობები, ხოლო გადაწყვეტი ხმა აქვს მხოლოდ ხალხს. ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება მობილური ტელეფონების საშუალებით - მესიჯით და ზარით. და პირველად საქართველოში - ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება, Facebook-ის საშუალებით - სრულიად უფასოდ. ეს არის გზა - საქართველოში ყველაზე დიდი სცენიდან - მსოფლიოში ყველაზე დიდ სცენაზე მოსახვედრად. მითუმეტეს, რომ ამ მეგაპროექტის - „საქართველოს

ვარსკვლავის“ ფარგლებში, ფინალურ ეტაპზე აირჩევა, როგორც ევროვიზიის მონაწილე, ასევე სიმღერა და ჩამოყალიბდება ევროვიზიის სრულყოფილი ნომერი. ამ ყველაფრის მონაწილე კი იქნება მაყურებელი. „საქართველოს ვარსკვლავი“ პირველი არხის ეთერში გავა - 5 იანვარს, კვირაში ერთხელ, შაბათს - პრაიმ ტაიმში. ქრონომეტრაჟი - 1:30.

წიგნების თარო სტუდენტური - 2019 წლის პირველ კვარტალში პირველი არხის მაყურებელი ასევე იხილავს ახალ სატელევიზიო პროექტს წიგნების თარო - სტუდენტური. პროექტი საბავშვო წიგნების თაროს ანალოგია - ახალგაზრდული გასართობი შოუ, რომლის თემატიკას ლიტერატურასთან ერთად სხვადასხვა შემეცნებითი სფერო წარმოადგენს. თამაშში რჩეული 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თითოეულ გუნდში სამი სტუდენტია, რომლებიც ერთი და იგივე უნივერსიტეტის კონკრეტულ ფაკულტეტს წარმოადგენენ. პირველი არხი პროექტის მონაწილეებს წიგნებს და სხვადასხვა საჩუქარს გადასცემს, გამარჯვებული გუნდის სამივე მონაწილე კი - დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლაში გაემგზავრება!

რანინა საბავშვო - კვლავ წარმოების ფაზას დაუბრუნდა საბავშვო მუსიკალური ტელე პროექტი რანინა. პროექტის სამაუწყებლო ბადეში ჩაშვება 2019 წლის აპრილში იგეგმება. „რანინას“ პირველი სეზონი 2018 წლის 5 მარტს გავიდა. მისი უნიკალობიდან, ფორმატიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, მაყურებლისთვის და მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებისთვის „რანინა“ იქცა ერთადერთ მუსიკალურ ტელე კონკურსად, რომელიც ზუსტად პასუხობს ქართული მუსიკალური კულტურის და მომავალი თაობის დაკავშირების და განვითარების აუცილებელ იდეას. მით უფრო მაშინ, როდესაც პროექტის ფორმატიდან გამომდინარე, „რანინას“ გამარჯვებული ავტომატურად ხდება საქართველოს წარმომადგენელი საბავშვო ევროვიზიაზე. პროექტის მიზანია გამოავლინოს საქართველოს წარმომადგენელი 2019 წლის საბავშვო ევროვიზიაზე და მაყურებელს საშუალება მისცეს 3 თვის განმავლობაში თვალი ადევნოს ამ პროცესს. პროექტისთვის მთელი საქართველოდან შეირჩევა 10 საუკეთესო კონკურსანტი.

დოსიე - 2018 წლის მეოთხე კვარტლის კიდევ ერთი სიახლე - გადაცემა „დოსიე“ - საეთერო ბადეში 2019 წელს გაჩნდება ზოლი, სადაც კვირაში ერთხელ ნაჩვენები იქნება საინტერესო უცხოური წარმოების, სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი დოკუმენტური ფილმები. ყოველკვირეული ფილმის ჩვენებას გადაცემის ფორმატში წინ წარუძღვება საავტორო მოკლე შესავალი, რომელიც ახსნის, თუ რითია ესა თუ ის კონკრეტული დოკუმენტი საინტერესო ქართველი მაყურებლისთვის. ასეთი შესავალი მაყურებელს დაეხმარება ფილმის საშუალებით საკუთარი რეალობის, კულტურის, პრობლემების, აქტუალობის, საკუთარი ისტორიის იდენტიფიცირება მოახდინოს მსოფლიოში მიმდინარე ისტორიულ, სოციალურ კულტურულ მოვლენებთან. რაც თავის მხრივ საზოგადოების უკეთ, სიღრმისეულად ინფორმირებულობასთან ერთად მის მეტ გახსნილობას შეუწყობს ხელს. ასეთი 3 წუთიანი შესავალი ფილმის ღირებულებას ხაზს უსვამს და მაყურებელი მას უკვე აღარ აღიქვამს, დროის ლუფტის შესავსებ მექანიკურ გადაცემად. გადაცემა „დოსიეს“ შეუძლია შეითავსოს ჩვენი წარმოების დოკუმენტური ფილმების სატელევიზიო პრეზენტაცია - პრემიერებიც.

რა? სად? როდის? - 2018 წლის მეოთხე კვარტალში წარმოების ფაზაში შევიდა ინტელექტუალური პროექტი `რა? სად? როდის?` ყველაზე მასშტაბური ინტელექტუალური

პროექტის ახალი სეზონის ნახვის საშუალება არხის მაცურებელს ასევე ასევე 2019 წელს ექნება.

დამის შოუ - მეოთხე კვარტლის განმავლობაში წინა საწარმო ფაზა გაიარა ყოველკვირეულმა იუმორისტულმა გადაცემამ "დამის შოუ პირველზე". გადაცემის საფუძვლად აღებულია ამერიკული გვიანი საღამოს სატელევიზიო შოუს ფორმატი. გადაცემის წამყვანია ბაჩო ქაჯაია. შოუს მუსიკალურად აფორმებს ბენდი "ქონექშენი" ია ტომასის ხელმძღვანელობით. გადაცემის პირველი ნაწილი წარმოადგენს იუმორისტულ მონოლოგს აქტუალურ თემებზე. მეორე ნაწილი კი, ეთმობა მოწვეულ სტუმართან (ან სტუმრებთან) ინტერვიუს. ასევე გადაცემაში იქნება მუსიკალური ნომრები და იუმორისტული მინი-წარმოდგენები, რომლებიც შესრულდება მოწვეული სტუმრის ან მსახიობის ჩართულობით გადაცემის წამყვანთან და მუსიკალურ ბენდთან ერთად. გადაცემა პირველი არხის ეთერში გავა კვირაში ერთხელ.

ახალი დღე - წარმატებით აგრძელებს მაუწყებლობას დილის გასართობ - შემეცნებითი ჟანრის გადაცემა. გადაცემა ახალი შემადგენლობით და ახალი ფორმატით ყოველ დილას 7:30 დან 10:00 მდე პირველი არხის მაცურებლის ინფორმირებასა და გართობაზეა ორიენტირებული. პროგრამა აგებულია ექსკლუზივზე, პრემიერაზე, სიახლეებზე. აქტუალური თემები განიხილება სტუმრებთან ერთად. 08.00 და 09.00 სთ-ზე პროგრამაში ერთვება მოამბე დღის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინფორმაციით.

მარტივი ლოგიკა - კვლავ ბადეში რჩება და წარმოებას აგრძელებს ყოველ ორშაბათს და სამშაბათს საღამოს 20:00 საათზე გეიმ შოუ „მარტივი ლოგიკა“, რომელიც საერთაშორისო პროექტის ანალოგია. ისევე, როგორც გასულ სეზონზე, თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვინც ჩათვლის, რომ არის სხარტი, აზარტული და აქვს საკმარისი ლოგიკა იმისთვის, რათა მოიგოს თანხა. ასევე გადაცემა გეგმავს მარკეტინგულ აქტივობებს - საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტს. გადამღები ჯგუფი კვირაში ერთხელ სხვადასხვა ქალაქში და ლოკაციაზე ჩაატარებს მინი გათამაშებებს და ჩვეულებრივ მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, ითამაშონ „მარტივი ლოგიკა“ და მოიგონ პრიზები. გრძელდება ასევე გადაცემა „მარტივი ლოგიკის მობილური აპლიკაცია“, რომელიც უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მობილურ თამაშში თვეში ერთხელ იგეგმება განახლებები, ახალ ეტაპებისა და გათამაშებების სახით.

ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი? - გრძელდება „მეტრო გოლდვინ მეიერის“ პროექტი „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?“. გადაცემა ყოველ ოთხშაბათს საღამოს გადის ეთერში და მაცურებელს ქვეყნის საუკეთესო მეექვსეკლასელებს აცნობს. გადაცემის სტუმარები კი, რომლებიც ყველასათვის კარგად ნაცნობი სახეები არიან, თამაშობენ იმ ბავშვებისათვის და სკოლებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ საზოგადოების გვერდში დგომა.

პირადი ექიმი - მარი მალაზონია - გრძელდება სატელევიზიო სეზონი „პირადი ექიმი - მარი მალაზონია“. გადაცემა, რომელიც ადამიანს ეძღვნება, საზოგადოებაში კვლავ აგრძელებს ჯანსაღი ცხოვრები წესის დამკვიდრებას.

რეალური სივრცე - მაუწყებლობას აგრძელებს პროექტი „რეალური სივრცე“ ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სოციალური თემით, რომლის მთავარი ღერძი კვლავ

ადამიანია, თავისი პრობლემით, დილემით და ცხოვრებით "რეალურ სივრცეში". სექტემბრის ბოლოდან ასევე განახლდა "რეალური სივრცის" ვებ-ეპიზოდებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელზე.

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ - ზურა ყიფშიძესთან ერთად, გრძელდება ქართველი მსახიობების, რეჟისორების, მოქანდაკეების და ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენლების გახსენება. შეიცვალა ეთერში გასვლის დრო- "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!" ტელემაყურებელს ახალ გადაცემებს, ყოველ კვირას, საღამოს, შვიდის ნახევარზე სთავაზობს.

წიგნების თარო - დასრულდა წიგნების თაროს მეხუთე სეზონი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მეექვსე სეზონის წინა საწარმოო სამუშაოები. "წიგნების თარო" კვლავ განსაკუთრებულად გამოირჩევა ეთერს მიღმა აქტივობებით და სხვადასხვა კამპანიებით. გადაცემა ყოველთვის უჭერს მხარს ისეთ კამპანიებს, რომლებიც ახალგაზრდებში წიგნიერების და დასავლური ფასეულობების პოპულარიზაციას ემსახურება.

ფერმა - მაუწყებლობას აგრძელებს გადაცემა „ფერმა“. სატელევიზიო ჟურნალ „ფერმის“ მისია კვლავ უცვლელია და საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაზე, სამიზნე აუდიტორიისთვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაზე, საზღვარგარეთულ გამოცდილებასა და ტექნოლოგიურ სიახლეებში ინფორმირებაზეა ორიენტირებული.


ცვანციკას გაკვეთილები - კვლავ გრძელდება ვებპროექტი „ცვანციკას გაკვეთილების“ წარმოება. პროექტის მიზანია ეროვნული გამოცდების მათემატიკისა და უნარების გამოცდისთვის მოზარდების მომზადება. პროექტის ავტორი და წამყვანი გიორგი ლაზრიშვილი მათემატიკოსია, რომელსაც ჩატარებული აქვს 7000 გაკვეთილი და 400 ლექცია. მოზარდებისთვის შემუშავებული სპეციალური კურსით ის მათემატიკის საფუძვლებიდან იწყებს ახსნას და სწორედ იმ საკითხებზე აკეთებს აქცენტს, რომელიც მოცემულია ეროვნული გამოცდების ტესტებში. ფეისბუქ გვერდის დახმარებით ყველა მაყურებელს შეუძლია მოგვწეროს და დასვას შეკითხვა გაურკვევლობის შემთხვევაში, რომელზეც ავტორი უმოკლეს დროში პასუხობს. კამპანიურობის და პრომოუშენის თვალსაზრისით დაგეგმილია აქტიური მაყურებლებისთვის ტესტების შეთავაზება და საუკეთესოებისთვის სიმბოლური დიპლომების გადაცემა.

„კაცები“ - მაუწყებლობას აგრძელებს იუმორისტული თოქ შოუ „კაცები“, რომელშიც მაყურებელი ისმენს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების იუმორისტულ მიმოხილვას. გადაცემის ჩაწერა ხდება აუდიტორიის თანდასწრებით, „ცოცხალი“, იმპროვიზებული იუმორით.


ტელეფილმები

2018 წლის IV კვარტალში ტელეფილმების სტატისტიკური მონაცემები:

დასრულებული დოკუმენტური ფილმები:



დოკუმენტური პროექტები კვლევის და წარმოების ფაზაში:



მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - ტელეფილმების მიმართულებით

საბჭოთა კრიმინალური ქრონიკები - წინა საწარმოო ფაზაში შევიდა პროექტი საბჭოთა კრიმინალური ქრონიკები. პროექტი ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში დაცულ ორ არქივს: საბჭოთა უშიშროების სამსახურის სისხლის სამართლის საქმეებს და კომუნისტური პარტიის არქივის მასალას, სადაც თავმოყრილია პარტიის ყველა რგოლის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები. სისხლის სამართლის საქმეებისა და პარტიული არქივის გარდა, პროექტის მომზადებისთვის გამოყენებული იქნება იმ დროის პერიოდული გამოცემები, აგრეთვე საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტები. ამ ოთხი კომპონენტის ერთობლიობა, ჩვენთვის საინტერესო ეპოქის სრულფასოვანი აღწერის საშუალებას იძლევა. თითოეული ფილმი დაეფუძნება კონკრეტულ კრიმინალურ ისტორიას, რომელიც გაიშლება სისხლის სამართლის საარქივო მასალების მიხედვით. იგულისხმება

დაკითხვის ოქმები, აგენტურული ინფორმაცია, ანალიტიკური მოხსენებები. მთავარი კრიმინალური ხაზი გამდიდრდება ეპოქის შესაბამისი სხვადასხვა ინფორმაციით, რომელიც საშუალებას მოგვცემს აღვწეროთ იმ დროის ყოფა, კულტურული ცხოვრება, პოლიტიკური ვითარება და ა.შ.

დაკარგული უბნების ციკლიდან სერიები - თბილისის კართან - მიმდინარეობს დაკარგული უბნების ციკლიდან პროექტის „თბილისის კართან“ საწარმოო პროცესი. პროექტის მიზანია ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში თბილისის ზრდის, სახეცვლილების, კულტურული და სულიერი ცვლილების ისტორიის წარმოჩენა, ერთგვარი ფიქსაცია აქცენტებისა, რომლებიც გადამწვეტი იყო თბილისის გარეგნული იერისა და შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისათვის-თბილისის უბნების ისტორია, მათი განვითარების სურათები, სოციალური შემადგენლობა, იერი, სუბკულტურული მახასიათებლები. თბილისის გამქრალი ისტორიული ადგილები - ერთ დროს უმნიშვნელოვანესი, დღეს კი არსგამოცლილი და აღუნიშნავი, ქალაქზე დაშენებული ქალაქი. თბილისის, როგორც ისტორიის სიკვდილი და ახალი ისტორიის შექმნა. ძველის და ახლის შედარება. კომუნისტების დროის თბილისი. პრინციპული ცვლილებები და შედეგები. პროექტი, სახელწოდებით „თბილისის კართან“, მოიცავს თბილისის უბნებს: მეიდანს, ავლაბარი-ორთაჭალა, სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერა, ვაკე-საბურთალო, „პლენხანოვი“, „ნახალოვკა“. სულ დაგეგმილია 8 სერიის გადაღება.

„მე- შალვა ნუცუბიძე“ - გაიმართა დოკუმენტური ფილმი „მე- შალვა ნუცუბიძე“ პრეზენტაცია-ჩვენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 14 დეკემბერს, 2018წ


დებიუტი - თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტთან ერთად გამოცხადდა კონკურსი სადებიუტო მოკლემეტრეჟიან ფილმზე.

მიმდინარეობს პროექტების - ბზვანელი, პრესა და ერი, ივანე ბერიტაშვილი - კვლევის ეტაპი.


რადიო პროექტები

2018 წლის IV კვარტალში რადიო პროექტების სტატისტიკური მონაცემები:

პროექტები მაუწყებლობის ფაზაში:



კონკურსის შედეგად გამარჯვებული რადიო პროექტები:



მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - რადიო პროექტების მიმართულებით

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რადიომაუწყებლობის ეფექტურობის გასაზრდელად 2018 წლის აგვისტოში (ბრძანება №167) დაიწყო პროექტი საქართველოს რადიო, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს:

- რადიოს ეფექტურობის გაძლიერება;

- რადიოს მოქნილობის გაზრდა და თანამედროვე ტენდენციებზე მორგება;
- აუდიტორიის გაფართოება;
- აუდიტორიის ასაკობრივი სპექტრის გაფართოება;
- აუდიტორიის გაფართოება ავტომსმენელის ხარჯზე;
- აუდიტორიის მიზნობრივი სეგმენტების მოცვა;
- მაუწყებლობის ტერიტორიების გაზრდა და ტექნიკური გაუმჯობესება;

ამ პროექტის და რადიო მაუწყებლობის ეფექტურად განხორციელების მიზნით 2018 წლის 23 აგვისტოს დებულებაში შევიდა ცვლილებები და რადიო ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა.

აუდიტორიის გაფართოება პირველ რიგში მიზნობრივი აუდიტორიის ქვედა ზღვრის მნიშვნელოვან გაფართოებას და ავტომსმენელის მოთხოვნების მეტად გათვალისწინებას გულისხმობს. ამ მოთხოვნების საფუძველზე ჯერ კიდევ პროექტის დაწყებამდე, შეიქმნა ახალი პროგრამული მიდგომები. მის საფუძველზე გარკვეული ცვლილებები შევიდა პროგრამულ ბადეში, შეიქმნა ახალი გადაცემები და მოდიფიცირდა რამდენიმე არსებული პროგრამა.

2018 წლის აგვისტოს №171 ბრძანების საფუძველზე, ახალი მოთხოვნების შესაბამისი გადაცემები (ძირითადად ახალი და მოდიფიცირებული პროგრამები) 10 სექტემბრიდან სამაუწყებლო ბადეში განთავსდა. დარჩენილ თავისუფალ საეთერო ზოლებში შესაბამისი გადაცემების განთავსების მიზნით კი ამავე ბრძანების საფუძველზე კონკურსი გამოცხადდა. პროგრამების შერჩევისას გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტები და მიზნები.

საარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით, საინფორმაციო გამოშვება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები საარჩევნო რეჟიმში მუშაობდნენ. ამას გარდა, რადიოეთერით გადაიცემოდა პირველი არხის პროექტი საპრეზიდენტო კანდიდატები პირველ არხზე - ხედვა და დებატები. ამ პროექტის ფარგლებში ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს თანაბრად დაეთმო ეთერი, აუდიტორიას კი საშუალება ექონდა, საპრეზიდენტო კანდიდატებს სამ სხვადასხვა ფორმატში გაცნობოდა:

- თითოეულ კანდიდატს საკუთარი ხედვის პრეზენტაციისთვის 10 წუთი დაეთმო 21:30 საათზე;
- გაიმართა დებატები კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ კანდიდატებს შორის;
- კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცათ გამოეწვიათ ერთმანეთი დებატებში;
- რადიოეთერით ასევე გადაიცემოდა კიდევ ერთი საარჩევნო პროექტი არჩევნები 2018.

2018 წლის სექტემბერში, ახალი პროგრამული ხედვისა და პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, კონკურსი გამოცხადდა შემდეგ მიმართულებებზე.

1. ჯანსაღი ცხოვრების წესი
2. სამომხმარებლო კონსულტაცია
3. კულტურა - თეატრალური მიმოხილვა და კრიტიკა

4. კულტურა - ორსაათიანი ყოველდღიური მუსიკალური პროგრამა, რომელიც კლასიკური, თანამედროვე, ქართული და უცხოური მუსიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად
5. დილის გასართობი პროგრამა, რომელიც ყოველდღიურ დილის პროგრამის მსგავსად, ორიენტირებულია კულტურისა და შემეცნებითი თემატიკის მსუბუქი ფორმით მიწოდებაზე
6. ყოველკვირეული მუსიკალური გადაცემები, რომელთა მიზანია „მსმენელის მუსიკალური გემოვნებისა და თვალსაწიერის გაზრდა, გართობა - დასვენება“.
7. შენი რადიოიდეა - მიმართულება სადაც პროექტების თემატიკა და ფორმატი შეუზღუდავი იყო.

კონკურსში მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ შეჩერებულ პროექტებში დასაქმებულ თანამშრომლებსაც. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და პროექტების მოსამზადებლად მაუწყებლის მხრიდან მათ ყველა შესაბამისი პირობა შეექმნათ. თანამშრომლებმა ეს შესაძლებლობა გამოიყენეს. მათმა უმეტესობამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო და ხშირ შემთხვევაში რამდენიმე პროექტიც წარადგინა.

2018-2019 წლების სამაუწყებლო სეზონისთვის პროექტების შერჩევას საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობდა მაუწყებლობის შესახებ კანონში გაწერილი შინაარსობრივი ვალდებულებებით და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებით.

კონკურსი მიზნად ისახავდა ისეთი მაღალი ხარისხის რადიოპროდუქციის მიღებას, რომელიც დააკმაყოფილებდა აუდიტორიის ინტერესებს და შესაბამისობაში იქნებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მისწრაფებებთან. ცალკე აღსანიშნია სამიზნე აუდიტორიის გაფართოება ქვედა ასაკობრივი ზღვარის დაწვევის ხარჯზე, ასევე ავტომოსმენელის მოთხოვნების გათვალისწინება.

საბოლოო ჯამში შეირჩა 12 გამარჯვებული პროექტი (ერთი პროექტი შეირჩა შიდა კონკურსით ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურის ბაზაზე):

07.12.18წ. №247 ბრძანების საფუძველზე საუკეთესოდ დასახელებული პროექტების წარმოება იწყება 2019 წლის იანვრიდან. აღსანიშნავია, რომ ახალ პროგრამებზე მუშაობა გრძელდება, მათ შორის იმ მიმართულებებზეც სადაც კონკურსის საფუძველზე გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. პროგრამული ცვლილებების გარდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მაუწყებლობის წვდომის გაუმჯობესების კუთხით. საქართველოს რადიომ დაიწყო მაუწყებლობა ფოთში. გადამცემები განახლდა მესტიაში, ჭიათურასა და საჩხერეში. ავტომოსმენელთა უკეთ მოცვის მიზნით დაიწყო კენტ მეათედებიან სიხშირეებზე გადასვლა (აშშ-დან იმპორტირებული მანქანების უმრავლესობა იჭერს მხოლოდ კენტ მეათედებიან სიხშირეებს). კენტ მეათედებიან სიხშირეებზე უკვე გადავიდა თითქმის ყველა გადამცემი, რომელთა სიხშირეების ცვლილება საერთაშორისო შეთანხმებებს არ მოითხოვს.

ასევე მიმდინარეობს გადამცემების RDS სისტემებით აღჭურვა. RDS სისტემები უზრუნველყოფს არხის ცნობადობას და ავტომობილის ერთი სამაუწყებლო ზონიდან მეორეში გადასვლის დროს ახალ სიხშირეზე ავტომატურ გადაყვანას.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან და ტელერადიოცენტრთან, რათა მომავალ წელს მაუწყებლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს და გაუმჯობესდეს.

ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი (მიღწევებიც და ჩავარდნებიც).

- 27 ნოემბერს - გამომცემლობა „სახელებმა“ 2018 წლის ოჯახის ექიმის ჯილდო, გადაცემის წამყვანს, მარი მალაზონიას გადასცა.
- გადაცემამ პირადი ექიმი შემოიკრიბა მოსწავლეები (პირველი გიმნაზია, ევროპული სკოლა, ქართული და უცხოენოვანი კონტინგენტი); და სტუდენტები (დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი), რომელთათვისაც გადაცემის ავტორმა და წამყვანმა ჩაატარა საჯარო ლექციები.
- სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილ საოჯახო ტიპის სახლებს, დაფინანსების სიმცირის გამო, დახურვა ემუქრებოდა. 10 ნოემბერს გადაცემა "რეალური სივრცე" სწორედ ამ თემას მიეძღვნა. გადაცემის ეთერში გასვლის დროს, 6 სახლიდან 1 უკვე ვეღარ ფუნქციონირებდა და დანარჩენი 5 სახლის ბენეფიციარებსაც ინსტიტუციაში დაბრუნება ემუქრებოდათ. 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის წევრმა, რატი იონათამიშვილმა, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი, რომლის მიხედვითაც 2019 წლიდან ბიუჯეტში შევიდოდა ცვლილება მსგავსი ტიპის სახლებისთვის დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით იმგვარად, რომ მათ არსებობა გაეგრძელებინათ. სტატუსშივე, პარლამენტის წევრმა, მადლობა გადაუხადა გადაცემა რეალურ სივრცეს, რადგან სწორედ ჩვენ ეთერში შეძლო მან პირადად სახლის ბენეფიციარებისგან მოესმინა ამ სახლების საჭიროების შესახებ, რაც მისივე თქმით, დიდი სტიმული აღმოჩნდა.
- გადაცემა „აკუსტიკა“ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობის მუსიკას და მუსიკოსებს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის იგეგმება მუსიკალური ცოცხალი სესები, რომელის ნაწილიც უკვე იხილა გადაცემის მაყურებელმა. ეს კი ხელს უწყობს პოპულარული გავხადოთ ეთნიკური მუსიკა, ხელი შევეუწყოთ თავად მუსიკოსებს და შემსრულებლებს, ქართულ საზოგადოებაში გზა გაუუხსნათ და მივცეთ ფართო ინტეგრაციის საშუალება, და რაც მთავარია გავზარდოთ შემოქმედებითი თვალსაწიერი თავად ქართველი შემსრულებლისთვის.
- 1 დეკემბერს მსოფლიომ შიდასთან ბრძოლის დღე აღნიშნა „გაიგე შენი აივ სტატუსი“, თბილისში გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც დაჯილდოვდა გადაცემა „პირადი ექიმი-მარი მალაზონია“, რომელიც წლების განმავლობაში აქტიურად აშუქებდა ამ თემას და საზოგადოებას ობიექტურად აწვდიდა ინფორმაციას ამ დაავადების შესახებ.

- თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლებს 2019 წლის იანვრიდან ხელფასები 10-15%-ით გაეზრდებათ. ამ გადაწყვეტილების შესახებ რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. რეალური სივრცე უკვე წელიწადზე მეტია აშუქებს ამ თემას. დასაწყისში სატელევიზიო ეთერი დავუთმეთ მეტროს მემანქანეებს, შემდეგ იგივე თემას ვებ. ეპიზოდის მიმდინარე და მიმდინარე სეზონზეც, რამდენჯერმე გაჟღერდა ის, რომ დასაქმებულები ახალი წლიდან ელოდებოდნენ მათთვის სასარგებლო შედეგის დადგომას.
- გადაცემის „პირადი ექიმი“ გუნდმა, მარკეტინგის სამსახურთან ერთად, მოამზადა პროექტი "პირადი ექიმი ზრუნავს თანამშრომლებზე", რომელიც გულისხმობს საჯარო ლექციებს და კონსულტაციებს ტელევიზიის თანამშრომლებისთვის.

სერიოზული პრობლემები და მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები, მოგვარების გზები.

NON

მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები; უკვე დაწყებულის განვითარება, სხვა).

- მიმდინარეობს პროექტის „რანინა“ საწარმოო ეტაპი
- მიმდინარეობს „საქართველოს ვარსკვლავის“ საწარმოო ეტაპი
- მიმდინარეობს პროექტის „ღამის შოუ“ წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს პროექტის „რა, სად, როდის“ წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს პროექტის „დოსიე“ წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს „კულინარული შოუს“ დაფორმატების ეტაპი

- მიმდინარეობს პროექტის „თბილისის კართან“ წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს დოკუმენტური სერიალის „სტოქსი“ პოსტ წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის კრიმინალური საბჭოთა ქრონიკების საწარმოო ეტაპი
- მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის პრესა და ერი კვლევის ეტაპი
- მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის „ბზვანელი“ - კვლევის ეტაპი
- მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის „ივანე ბერიტაშვილი“ - კვლევის ეტაპი

- მიმდინარეობს კონკურსში გამარჯვებული ყველა რადიო პროექტის (12 პროექტი) წარმოების ეტაპი
- მიმდინარეობს ინტერნეტ რადიოს შექმნის პროექტის დამუშავება

წარმოების ტექნიკური უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში მოხდა ტექნიკური გადაიარაღების დიდი გეგმის შემუშავება და შეთანხმება. გეგმა დაიყო რამდენიმე ლოგიკურად დაკავშირებულ მსხვილ ნაწილად და მოხდა ამ ნაწილების შემადგენლობის დეტალური მიახლოებითი დაგეგმარება. შეფასდა მიახლოებითი ტექნიკური და სხვა რესურსები და დადგინდა დაახლოებითი ბიუჯეტები. ასევე შეფასდა გასახორციელებელი სამუშაოების კალენდარული ეტაპები და დამთავრების ვადები.

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

2018 წლის IV კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებელი აგრძელებდა გადაცემების წარმოებას და მაუწყებლობას ცვლილებების გარეშე. გადაღებების და პირდაპირი ეთერების უზრუნველყოფა ხდებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზების გარეშე.

გახორციელდა გრაფიკის მიხედვით დაგეგმილი სპორტული ტრანსლაციები.

ახალი წლის ღამით, მოხდა მერიის ორგანიზებული საახალწლო კონცერტის ტრანსლაცია.

გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

რადიომაუწყებლობა:

2018 წელს მომზადდა რადიომაუწყებლობის ქსელის სიხშირული ბადე სიხშირეების კენტი დაბოლოებებით. ახალი სიხშირული მინიჭებების სია გაეგზავნა შპს “საქართველოს ტელერადიოცენტრს“ გადამცემების სამუშაო პარამეტრების ცვლილებების განსახორციელებლად. 2018 წლის ბოლოსთვის სამაუწყებლო ქსელში ჩართული იქნა ყველა მონიჭებული სიხშირე კენტი დაბოლოებით გარდა ონის გადამცემი საიტისა, რომლის გადამცემიც არ იძლევა ოპერატიული ცვლილებების შეტანის საშუალებას, მოძველებულია და შესაბამისად, გამოსაცვლელი. ასევე მაუწყებლის და ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მონაწილეობით მიმდინარეობს შეთანხმებები მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა მოგვეცეს საშუალება კენტი დაბოლოების მქონე სამუშაო სიხშირეზე ვამუშაოთ თბილისის, ახალციხის და ბათუმის ზონებში არსებული გადამცემები. ამ სადგურებისათვის მოლაპარაკება მიმდინარეობს ბრენდულ სამუშაო სიხშირეზე- 102,5 FM.

გარდა არსებული მძლავრი რადიოგადამცემი სადგურების გამართული მუშაობისა, საქართველოს ავტომაგისტრალების და ტურისტული მარშრუტების გასწვრივ საიმედო დაფარვის მისაღებად აუცილებელი აღმოჩნდა დამატებითი, მცირე და საშუალო სიმძლავრის

გადამცემების ჩამატება საქართველოს სხვადასხვა სამაუწყებლო ზონაში. დაგეგმილი იქნა, სულ მცირე, 25 გადამცემი საიტის დამატება სიმძლავრით 50-დან 500ვტ-მდე. პროექტის ძირითადი ნაწილის განხორციელება უნდა მოხდეს 2019 წელს. მიღებული სურათის მიხედვით დაიგეგმება რადიოსამაუწყებლო ქსელის განვითარება 2020 წლისათვის.

ტელემაუწყებლობა:

DVB-T2 სატელევიზიო მიმღები მოწყობილობების და თანამედროვე ტელევიზორებისა და მონიტორების მიერ უზრუნველყოფილი გამოსახულების და ხმის ხარისხის ზრდა მოითხოვს მაღალი გარჩევადობის პროგრამების ტრანსლირების ხარისხის მუდმივ ზრდას და კონტროლს. სპორტული ღონისძიებების გადაცემისას საერთაშორისო საკონტრიბუციო არხებით მიღებული სიგნალების ხარისხის მინიმალური კარგვებით გადასაცემად 2019 წელს დაგეგმილია, გაიზარდოს „პირველი არხის“ ნაკადის შესაბამისი (ბითრეითი) ნაკადური სიჩქარე 1-1,5 მბ/წმ-ით. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო დონის კონცერტების, გამოსვლებისა თუ სპორტული ღონისძიებების რეპორტაჟებს მაყურებელი საგრძნობლად გაუმჯობესებული ხარისხით მიიღებს. ასევე შესაძლებელია განხორციელდეს DVB-T2 დაცვის კოდების კორექტირება საიმედო მიღების უზრუნველსაყოფად.

შპს. „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ვებ გვერდის ინფორმაციით, სატელევიზიო გადამცემ საიტებზე და რეტრანსლატორებზე ელექტროენერჯის მიწოდების ხარვეზები ხშირად საეთერო მიკრორეტრანსლატორების ტექნიკური გაჩერების მიზეზი ხდება.

სატელიტური პლატფორმა:

EBU FNRMN- ტერმინალის აპარატურის შემადგენელ ნაწილს, ინკოდერის მოდულს, აღენიშნებოდა ტექნიკური გაუმართაობის ნიშნები, რაც დაგვიდასტურა ასევე EBU-ს მოწყობილობების დაშორებული მართვის ცენტრმა. EBU-ს ტექნიკური განყოფილების წარმომადგენელ კოლეგებთან ტექნიკური დეტალების შესახებ ჩატარებული კონსულტაციის შემდგომ ინკოდერის მწარმოებელმა კომპანიამ „ატამე“ , გამოგვიზავნა სათადარიგო ნაწილები და სატელიტური ჯგუფის თანამშრომლების მიერ მოხერხდა ინკოდერის ადგილზე აღდგენა. ამჟამად ინკოდერი გამართულად მუშაობს.

მონიტორინგის, ტექნიკური კონტროლის მონაცემები

2018 წლის ბოლო კვარტალის განმავლობაში რადიომაუწყებლობის ხარვეზების ძირითადი ნაწილი პროგრამების მიწოდების ქსელში წარმოიქმნებოდა. დეკემბრისათვის მიწოდების ქსელის ტექნიკური ცვლილება განხორციელდა. ამ ცვლილების შედეგად უნდა გამოირიცხოს ხარვეზები, რომლებიც რადიომაუწყებლობაში გამოწვეული იყო სეთ-თოფ ბოქსების

არამდგრადი მუშაობით, რაც გამოიხატებოდა არხების უკონტროლო შეცვლაში და ხმის დონის არასტაბილურ მიწოდებაში.

რაც შეეხება სატელევიზიო პროგრამების გავრცელების პრობლემებს, ისევ ხშირია ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტები DVB-T2 სახმელეთო ციფრული გადამცემის ქსელის მცირე და საშუალო სიმძლავრის საიტებზე.

საზოგადოებრივი პროგრამების გავრცელების მონიტორინგის შედეგები 2018 წლის IV კვარტალში.

რადიომაუწყებლობა

2018 წლის IV კვარტალში შემოსული ზარების მიხედვით, დაფიქსირებულია ხარვეზის 16 შემთხვევა. თითქმის ყველა მათგანი გამოწვეული იყო სეთ თობ ბოქსის რესივერების თვითნებური გადართვების შედეგად. მაგალითად:

ოქტომბერში, ოზურგეთში საქართველოს რადიოს პირველი არხის პროგრამა გადაიცემოდა წყვეტილად; ბათუმში რადიო პირველი არხის, ნაცვლად, ჩართული იყო და გადაიცემოდა ტელევიზიის ხმა; იგივე შემთხვევა გამეორდა ერთი კვირის შემდეგ; ოზურგეთში რადიო პირველი არხის პროგრამა გადაიცემოდს წყვეტილად; იგივე ხასიათის დარღვევა მოხდა 3 დღის შემდეგ;

ნოემბერში, გორიდან ერთ-ერთი რადიოსმენელისგან შემოსული ინფორმაციის მიხედვით რადიოს პირველი არხის პროგრამა გადაიცემოდა დამახინჯებით; აღნიშნულის რამდენიმე რადიოსმენელთან გადამოწმების შემდეგ, ფაქტი არ დადასტურდა; ოზურგეთში, რადიოს პირველი არხის პროგრამა გადაიცემოდა წყვეტილად; ერთი კვირის შემდეგ კვლავ წყვეტებით გადაიცემოდა პროგრამა; ოზურგეთში კვლავ წყვეტებით გადაიცემოდა რადიო პროგრამა; ერთი კვირის შემდეგ იგივე ხარვეზით წარმოებდა რადიოს პირველი არხის გადაცემები ოზურგეთში; სამი დღის შემდეგ, კვლავ იგივე ხარვეზით გადაიცემოდა პროგრამა.

